ლოს უფროსი, პოლკოვნიკი ვლადიმერ მიხეილის ძე ბობუა და, ასევე აფხაზი ქალბატონი, აელიტა ამიხბა. ესენი ის დიდებული ადამიანები არიან, რომელთაც ქართული, უფრო სწორად, სადი მართებული პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდათ. მათ გვერდით დგანან შინაგან საქმეთა სამინისტროს ქართველი მუშაკები თუ უბრალო მოქალაქეები, რომელთა მაღალპროფესიულმა უნარმა, გმირობამ და თავგანწირვამ იხსნა მიტროპოლიტის სიცოცხლე და თვით საქართველოც გადაარჩინა მძათეკვლელ ომსა და გახლენას. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ამ ტრაგიკული ფაქტის გადავადება აღმოჩნდა. მტერმა მაინც მიადწია საწადელს - დედა სამშობლოს მოწყვეტა აფხაზეთი, მოიტანა ნგრევა და სიკვდილი, სისხლი და ცრემლები, სამასი ათასი ადამიანის ღტლოვნილება... საუბედუროდ, მრავალ დიდებულ მამულიშვილთან ერთად, ქართულ-აფხაზეთ ომს შეეწირა წიგნის ავტორის, ბ-ნ სერგო წურჭუაძის უფროსი ვაჟი, ოცდაათი წლის მაიორი, ჯამბულ წურჭუაძე, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ქვეყნის უმაღლესი ჯილდო, - ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენი და თბილისში, ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი.

რომანში წარმონიღი ადამიანთაგან, ბევრი, დღეს ან დევნილობაში არიან, ან დიდ ნათელში, ცათა შინა სუფევან.

წინამდებარე რომან-დეტექტივი საქართველოს დიდი ისტორიის ერთი ნაწილია - ტრაგიკული, დრამატული, სისხლიანი და ცრემლიანი ნაწილი, რომლის წაკითხვა ორმოცი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი და ორმოცი წლის შემდეგ წიგნის ავტორი მთელი რომანის არსს შეფარულად ერთი ანდერძით გამოხატავს: მე შევაშვოთებ წარსულს, რათა გამოვალვინო მომავალი!

რომანში აღწერილი მოვლენები მაღალმხატვრულადაა გადმოცემული. მისი ავტორი დიდებულად ფლობს მშობლიურ, ლიტერატურულ ქართულს; ოსტატურადაა აღწერილი გმირთა სახეები... მთელი წიგნი, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

ამ დიდებული რომანის შექმნა დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში.

ზურაბ ძობალია, ჟურნალისტი, მწერალი, პოეტი

ლაკორატორიული ბამოკვლევა - ღიაბნუსტიკის საუკუნეში

სწორი დიაგნოზის დასმა პრობლემის გადაჭრის უმთავრესი წინაპირობაა. საამისოდ ექიმს, პაციენტის ანამნეზის გარდა, ლაბორატორიული ანალიზების პასუხები ესაჭიროება. იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს ამა თუ იმ დაავადების სახე და მკურნალობის გზები, ექიმმა უნდა იცოდეს ლაბორატორიული კვლევების შედეგები. სიზუსტე, ამ მხრივ, უმთავრესი მოთხოვნაა ყოველი დაავადება განსაკუთრებულად აისახება ლაბორატორიული კვლევებში. სწორედ ესაა გადამწყვეტი რგოლი, რომელსაც შემდგომი დიაგნოსტიკა და მკურნალობა მოჰყვება.

წარმოგვიდგინოთ ლაბორატორიული კვლევების შედეგებს, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვა დაავადებისათვის ვფიქრობთ, ეს გაუადვილებს ექიმებს სწორი დიაგნოზის დასმას და ასევე აღნიშნულიდან გამომდინარე მოსახლეობა ყურადღებას მიაქცევს თავის ჯანმრთელობას.

ყოვანახველა - ლეიკოციტოზი, ლიმფოციტოზი, ედს ნორმის ფარგლებშია. ლიმფოციტოზის ნეიტროფილით შეცვლა და ედს აჩქარება გართულებაზე ან სუპერინფექციის არსებობაზე მიუთითებს.

დიფტერია - ნეიტროფილური ლეიკოციტოზი მარცხნივ გადახრით. მონოციტოზი, ედს აჩქარებულია, შარდში ჩნდება ცილა, ზოგჯერ ცილინდრები.

ინფექციური მონონუკლეოზი - ზომიერი ლეიკოციტოზი, ლიმფოციტოზი, მონოციტოზი, ნახულობენ ატიპურ ერთბირთვიან უჯრედებს ფართო ბაზოფილური ციტოპლაზმით (რომელსაც უწოდებენ ფართოპლაზმურ ლიმფოციტებს, ლიმფომონოციტებს, მონონუკლეარებს) ედს ზომიერად აჩქარებულია.

წითელა - ლეიკოპენია, ლიმფოციტოზი, ედს ნორმის ოდნავ აჩქარებულია.

წითლანაზი - ლიმფოციტოზი, ლეიკოპენია.

წითურა - შესაძლოა ლეიკოპენია, ლიმფოციტოზი.

ქუნთურა - ლეიკოპენია, ანეოზინოფილია, ლეიკოციტოზი, ნეიტროფილია, ედს აჩქარებულია.

ლეიშმანიოზი - ერთროციტების რაოდენობა ძლიერ კლებულობს 1 მმ 3 - 200000 და ნაკლები, ჰემოგლობინი ეცემა 30-20 ერთეულამდე, ლეიკოპენია ლიმფოციტოზით, ედს აჩქარებულია, შემცირებულია თრომბოციტები (1 მმ 3 - 30000 50000) ფაღარათობა სისხლა - ლორწოიანი განავრით.

ეპიდემიური პაროტიტი - ლეიკოპენია, ლიმფოციტოზი, ედს ნორმის ფარგლებში.

სტრონგილოიდოზი - თავდაპირველად სისხლში აღინიშნება ლეიკოციტოზი, შემდეგ ლეიკოპენია.

მუცლის ტიფი - ლეიკოპენია, ზოგჯერ ლიმფოციტოზი და ანეოზინოფილია, ედს ნორმის ფარგლებშია. პარატიფი ა და ბ - ლეიკოპენია ნაკლებად არის გამოხატული.

ქოლერა - პირველ სტადიაში ზომიერი ლეიკოციტოზი. ალბიდის დროს სისხლის გასქელების გამო ვითარდება პიპერლეიკოციტოზი და ერთროციტოზი.

ამეზიური დიზენტერია - ლეიკოციტოზი, ნეიტროფილია, ედს მომატებულია.

ნემატოდები - ეოზინოფილია, ედს მომატებულია. ანკილოსტომიდოზი - ეოზინოფილია, ანემია ზოგჯერ ჰემოგლობინი 10% ერთროციტები 800000-100000. ასკარიდოზი - ეოზინოფილია.

ცოფი - მნიშვნელოვანი ენიჭება შარდში შაქრის აღმოჩენას. სისხლის ანალიზით პროდრომულ პერიოდში ლეიკოპენიაა, ხოლო დაავადების სრული განვითარებისას - ლეიკოციტოზი.

წითელი ქარი - ლეიკოციტოზი ნეიტროფილით.

მალარია - უსიცხო პერიოდში სისხლის საერთო ანალიზით დაქვეითებულია ჰემოგლობინის და ლეიკოციტების რაოდენობა, მომატებულია ედს, ლიმფოციტოზი.

მარიამ კალანდარიშვილი ექიმი ბაქტერიოლოგი

სინდისი ნივთი არ არის, რომ შეიძინო, მაგრამ იბი დიდი ბანძია...



ჩემი პრეზიდენტობის დროს კი, რა თქმა უნდა, საერთოდ წარმოუდგენელი იყო, ერთი ოლიგარქის ახირებამ და მისი ნათესავების მატერიალურმა დაინტერესებამ შეიწირა. თალიბების მიერ კლდეში გამოკეცილი ბუდების აფეთქების შემდეგ ვერ ვიხსენებ ამ დონის ვანდალიზმს მსოფლიოში. ეს არის პირდაპირი შედეგი კორუფციის, უპასუხისმგებლობისა და უმეცრების, რომელიც ჩვენს ქვეყანაში, სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ყველა მიმართულებით. მოგუწოდებ ყველას, ვისაც ეს ეხება, ახლა მაინც, შეაჩერებინონ უკანონო სამუშაოები, რათა ის მაინც გადავარჩინოთ, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელია, - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

ძალიან მაღე დაავიწყდა ამ ნაბიჯებს, თუ თავად როგორი მონდომებით ანადგურებდა ქართული კულტურის ძეგლებსა და ქართულ სულიერებას. დაავიწყდა, თუ როგორი დაშინაკური მონდომებით ამოიღო მიხანში ბაგრატიის ძეგლი ქუთაისში, ჩაუტარა მას ვერორემონტი, რის შედეგადაც იუნესკომ ბაგრატიის ტაძარი მსოფლიო კულტურის ნიმუშების სიდად ამოიღო! დაავიწყდა, თუ როგორ ვანდალურად ააფეთქა ქუთაისში მერაბ ბერძენიშვილის დიდოსტატური მარჯვენით ნაგები დიდების მემორიალი, რომელსაც უდანაშაულო დედა-მეილის სიცოცხლე შეეწირა.

დაავიწყდა, როგორ მარცვადა მუხუშეებსა და სამხატვრო გალერეებს, საიდანაც უბოდიშოდ გაქონდა და მეძაბებს ჩუქნიდა ქართველი ერის საკუთრებაში მყოფ საგანძურებს. დაავიწყდა, რომ მიუხედავად პატრიარქის მოწოდებისა, მისი

ჩემს საყვარელ ილორის რედაქციას ვთხოვთ ჩემი გლეხური რჩევა მიაწვდინოს საქართველოს პრემიერს ირაკლი ღარიბაშვილს

აფხაზეთიდან დევნილი რიგობი მოქალაქე გვანჯი დარსაძისგან შეიღო ირაკლი ჩემი გლეხური გაგებით თქვენ ყველაზე საღად მოაზროვნე ახალგაზრდა პოლიტიკოსი ბრძანდებით. იმედი მაქვს თქვენ მომიხმენ და რეაგირების გარეშე არ დატოვებთ ჩემს გლეხურ რჩევას, რასაც მე მოკლებული ვიყავი დღემდე.

როგორც მოგახსენებთ მე, თავის დროზე, მუხლჩოქში ვთხოვდი ზვიად გამსახურდიას, ეღუარდ შევარდნაძეს, მიხელო სააკაშვილს და მათ თანამოაზროვნეებს ყოფილიყვენ ობიექტურები საქართველოსთვის ყველაზე ჯოჯოხეთურ აფხაზეთი საკითხის მოგვარებაში, მარა ჩვენდა საუბედუროდ ჩემი გამოწვევა არავინ არ იყო და დღესაც ვერ ვხედავ. მე გული მტკივა მასზე, რომ დღეს ყველაზე საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები, კერძოდ, აფხაზეთი საქონში, აფხაზეთის მკვიდრნი, რომლებსაც გააჩნიათ დიდი ავტორიტეტი აფხაზეთთან, საქვეყნოდ ცნობილი პოლიტიკოსები, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია, ნეიტროქორეგი, პროფესორი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი ნაპოლეონ მესხია, რომლებსაც გააჩნიათ ყველა რესურსი, რომ მოგვარონ აფხაზეთი კონფლიქტის მაქსიმუმ, ოფიციალურად არ ფიგურირებენ ამ საშვილისშვილო საქმეში. მე ღრმად ვარ დარწმუნებული თავის დროზე თბილისელ პოლიტიკოსებს, კერძოდ, შევარდნაძეს და ნადარეიშვილს რომ მოეხმინათ მათთვის, აფხაზეთში არც სისხლი დაიღვრებოდა და არც დევნილები გავეყოლებოდა, მაგრამ ჯოხის გვიან, ვიდრე არასდროს. შეიღო, ირაკლი, გთხოვთ თავი დავანებოთ არაფრისმთქმელ ვიოიუებს, უაზრო უფლის ხარჯვას დასავლეთში, ვიპოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების უაზრო ლაყდაყს. დროს ნუ ვკარგავთ დასავლეთის იმედით,

პირიქით, საღად მოაზროვნე დასავლეთელები ვვირჩევენ საერთო ენა გამოვინახოთ რუსეთთან, პუტინთან, რადგან საქართველოს ხსნის, კონფლიქტების მოგვარების კლიტე ძეგს კრემლში. ვთხოვ ყველა რჩულის ქართულ პოლიტიკოსებს თავი დაანებონ სააკაშვილისეულ ანტირუსულ ისტერიებს თორემ წინ უფრო მეტი უბედურებები გველის. შეიღო ირაკლი, ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეცობარსა!

გთხოვთ პირადად თქვენ დაელოპარაკოთ ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინს, ის არ გახლავთ ქართველების მტერი. ნუ ვაიძულებთ მას თავის საზღვრების უსაფრთხოებისათვის მიმართოს რადიკალურ ზომებს. ნება მომეცით რუსულად გავიხსენო მისი ნათქვამი:

“Грузинский народ самый красивый народ. Для России ближе грузинов нет ни кого по культуре и по вере”.

შეიღო ირაკლი, ზვიად გამსახურდიას, ეღუარდ შევარდნაძე, მიხელო სააკაშვილი შეეწირა ანტირუსულ ისტერიას და არ მინდა თქვენც გაიზიაროთ მათი ბუდი. ვირჩევთ იყოთ გაბეული სიმართლის მსახური.

მე მჯერა თქვენს საღად აზროვნებისა, ვიცი თქვენ ბევრი მტერი გყავთ, ეს დიდი პოლიტიკოსის ხვედრია! გთხოვთ ნუ აყვებით პრამერეიკლებს, გაბედულად ჩადით კრემლში, გამოანახეთ საერთო ენა პუტინთან და საქმეებიც წინ წავა, ეტაპობრივად ყველა საკითხი მოგვარდება. შეიღო, ხომ ხედავ, მეოთხედი საუკუნეა ერთ ადგილს ვტკეპნით დასავლეთის იმედით.

ვილოცავთ ახალ წელს!

გვანჯი დარსაძე, ზუგდიდი

როდენდ ჯალალანი, "შაზისი"-ს და "აია"-ს აკადემიების წევრი



აუცილებლობით განვიხილავთ კომენტარები კუპური ფიფიას და სხვათა საბაზეთო კუბლიკაციებს

რაც შეეხება საგარეო საშუალებებს, აქ კიდევ ერთხელ და ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მათი წარმომავლობა (ეტიმოლოგია) ჩვენს მიერ სრულყოფილად აღვნიშნავთ: ისინი წარმოადგენენ ბგერის ფონეტიკურ ვარიანტებს და თითოეულ მათგანს მინიჭებული აქვს საკუთარი კონკრეტული ფუნქცია თუ ფუნქციები.

ცხადია, 300-მდე ძირისეული თანხმონეური ფორმა და 2000-მდე მათზე დამკვირვებელი სიტყვა, რომელთა ეტიმოლოგიის შესწავლა მომავლის საქმეა, ზღვაში წვეთია მეგრულს მთელ ლექსიკასთან შედარებით; ისინი ამ ლექსიკის ერთ მემილიონედ ნაწილსაც კი არ შეადგენენ.

ასეთ პირობებში, ბატონო კუპური, თქვენ წერთ, რომ მეგრულს 30 (სინამდვილეში 29. - მ. დ.) ბგერიდან, თქვენი შეფასებით, „ბგერა-სიტყვიდან“ (ჩვენი ეს უკანასკნელი ტერმინი თქვენ, რატომღაც, ყველა თანხმონეურ განავრცეთ და „დაიკანონეთ“ კიდევ), ანუ ძირისეული თანხმონეური ფორმიდან, თითქოსდა, 16 თანხმონეური ბგერის (იგივე „ბგერა-სიტყვის“ ანუ ძირისეული თანხმონეური ფორმის) წარმომავლობა დაუდგენელი გვქონდეს, ანდა გამოგვჩვენდეს.

ამასთან, ჩვენი ადრინდელი ერთგვარი შენიშვნა-სურვილების პასუხად, ღია წერილში ჩვენდამი (გაზ. „ილორი“, 273), თქვენ წერთ, რომ მტკიცედ გჯერათ სიტყვის ძირისეული ფორმის ეტიმოლოგიის თქვენთვის მეთოდის და თქვენი შეხედულებების ჭეშმარიტებისა, რომ, მისგან თქვენი გადარწმუნება ძნელია, და სანამ ძირისეული ფორმების კონკრეტული მაგალითების კვლევის უფრო სრულყოფილი მეთოდი შემუშავებული არ არის, მისი უარყოფა შეიძლება მართებული არ იყოს.

წერილს ასე აგრძელებთ: „ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, ჩემი შეხედულებების მტკიცედ მჯერა, გამორიცხული არ არის ვცდებოდე, მაგრამ აბსოლუტურად სწორი რომ აღმოჩნდეს ეტიმოლოგიური კვლევის ჩემთვის მეთოდი, ვფიქრობ, თქვენს ტიტანურ შრომებთან არავითარ წინააღმდეგობაში არ მოდის, პირიქით, პირველყოფილი მეტყველების შესახებ თქვენს მიერ დადგენილი ზოგადი დებულებების კონკრეტული მაგალითებით დადასტურებად მიმართულია“. ადრინდელ წერილს თქვენ ამთავრებთ თხზვით: „...თუ დროს გამოიხატავთ, ნუ მოერიდებით ჩემს კრიტიკას, ეს ჩემთვისაც კარგია და საზოგადოებისთვისაც“.

გეთანხმებით, ბატონო კუპური, და შეგვივხატოთ, კიდევ უფრო ნათლად ვთქვათ, იმ ფაქტებზე, რაშიც თქვენი შეცდომები აშკარად სახეზეა და რაც დიახაც მოდის წინააღმდეგობაში ჩვენი გამოკვლევების შედეგებთან. საამისოდ, მოვიტანთ თქვენსავე მონაცემებს უკანასკნელი საგაზეთო პუბლიკაციებიდან. აი, ისინი:

გახვთ „ილორის“ ზემოაღნიშნულ ნომერში (273) ჩვენს სახელზე გამოქვეყნებულ თქვენს ღია წერილში, იმეორებთ რა თქვენს მრწამსს თქვენზე შეხედულებების შესახებ, ასე წერთ: „...ჯერ-ჯერობით ვრჩები ჩემი შეხედულებებისა და ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდის ერთგული და, მიამანი, რომ თავისი განვითარების დონის შესაბამისად, ერთეულ თანხმონეურ და თანხმონეურ ბგერათა პარმონიული კომპლექსების კომბინირებულად გამოყენებით პირველყოფილი ადამიანი ცდილობდა, არა-გრამატიზირებულ, მაგრამ იმდროინდელი განვითარების კვალობაზე მარტივი წინადადების შედგენას და რაღაც აზრის გადმოცემას; შემდეგ ეს არაგრამატიზირებული წინადადებების წვერები შეუერთდა ერთმანეთს; სადაც მახვილი ეცემოდა ბგერას, გახმონეუნდა, სადაც არ ეცემოდა მახვილი, იქ ხშირად, საერთოდ გაქრა და მივიღეთ ძირისეული ფორმები და კავშირებული, სრულყოფილი მნიშვნელობის სიტყვები, რომელთა თანხმონეური ძირისეული ფორმები და თანხმონეური ბგერათა პარმონიული კომპლექსებად დაშლა და მათი მნიშვნელობის საფუძველზე შედგენილი გრამატიზირებული წინადადება იძლევა ამა თუ იმ სიტყვის განმარტებას, საკმაოდ გასაგებად, თორემ ჩემი სურვილი კი არ არის, როგორც აღნიშნავთ, ეს ასე იყოს.“

აი, ეს გახლავთ, თურმე, ბატონო კუპური, თქვენი შეხედულება და ეტიმოლოგიური კვლევის თქვენთვის „ორიგინალური“ მეთოდი, როგორც თქვენ მას უწოდებთ. ეს, დიახაც არის თქვენთვის ორიგინალური შეხედულება და მეთოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ძირშივე მცდარი, ყოველგვარ კანონ-

ზომიერებასა და რეალურ საფუძველს მოკლებული პიროვნული შეხედულება და მეთოდი, რასაც მეთოდი“ ძნელია ეწოდოს.

ზემოთ მოტანილ თქვენს ციტატაში აღნიშნული ფაქტები, - თავდაპირველად თანხმონეური ფორმებით, ანუ ერთეული თანხმონეური ბგერებით, თანხმონეური ბგერათა პარმონიული კომპლექსებითა და მათი განავრცობით (მათთან იმთავიდანვე ბუნებრივად თანხმონეური) ბგერითურთ) მეტყველების შესახებ, ასევე, ამგვარი თანხმონეური ფორმების შემდგომი გახმონეუნებისა და ძირისეულ ფორმათა აფიქსაცია-გრამატიზაციის შესახებ, ცხადია, ჩვენთვის მონაცემებია, ვინაიდან მსგავსი რამ მანამდე არავის წარმოუჩინია და დაუმტკიცებია. ენის წარმოშობის საკითხის შესწავლის საქმეში კი, უპირველეს ყოვლისა, უმთავრესია სწორედ იმ ერთეული თანხმონეური ბგერების, თანხმონეური ბგერების, პარმონიული კომპლექსებისა და მათი განავრცობის, როგორც ძირისეული თანხმონეური ფორმების წარმოშობის მიხედვით და პირობების ანუ საფუძვლების წარმოჩენა, რაც ჩვენ შეგვიძლია. ასევე დიდმნიშვნელოვანია ამგვარი ძირისეული თანხმონეური ფორმების, როგორც პირველყოფილი თანხმონეური მეტყველებისათვის (ცხადია, ეს ტერმინიც ჩვენი) დამახასიათებელი ენობრივი ნიშნების, აფიქსაცია-გრამატიზაციის მოვლენის წარმართვისა და, შედეგად ამისა, თანამედროვე სიტყვების, - როგორც საბოლოო სახით განვითარებული ენობრივი ნიშნების, - წარმოქმნის მიხედვით და პირობების ანუ საფუძვლების შესწავლა-წარმოჩენა, რაც აგრეთვე ჩვენ შეგვიძლია. მანამდე კი, მართალია, ენათმეცნიერების მიერ (მაგ., ვ. დენინცკაიას მიერ) შემწეული იყო ერთეული თანხმონეური სიტყვების არსებობა ცალკეულ ენებში (მაგ., ჩეხურში, რუსულსა და სერბულში), მაგრამ არავის დაუმტკიცებია არც მათი წარმოშობის საფუძვლები და არც ის, რომ პირველყოფილი მეტყველება იყო მეტყველება ხმამაღალი ძირისეული თანხმონეური ფორმებით (ესეც ჩვენი ტერმინია), მათთანვე) ბგერის თანხმონეურობით, რისი წარმოჩენაც ჩვენ შეგვიძლია. თუმცა, არსებობდა მოსაზრება იმის შესახებაც, რომ აფიქსებული მორფული მოვლენა ენაში, მაგრამ, მიამნდათ, რომ აფიქსები თავდაპირველი სიტყვების ნაწილი ანუ ნაშთია (მაგ., არნ. ჩიქობავასთან), მაგრამ ეს მოსაზრება ჩვენ, თავის დროზე და თავის ადგილას, საკმარისი გვაბათილეთ და დაგამტკიცეთ, რომ აფიქსები და საერთოდ საგრამატიკო საშუალებები მიღებულია) ბგერისაგან, - ისინი წარმოადგენენ მის ფონეტიკურ ვარიანტებს.

ასეთ პირობებში, ჩანს, თქვენ კვლავ მიყვებით იმ ძველ მოსაზრებას (რაც მოსაზრებად დარჩა და არავის დაუმტკიცებია) და იგი გავიხდით ეტიმოლოგიური ძიების „თქვენთვის ორიგინალური მეთოდი“ საფუძველად.

ამიტომაც, მიგანიათ, რომ, მაგალითად: „სიტყვა „წიგნი“ უძველესი ხანაში (წ) ფორმით უნდა ჩასახულიყო“ და მისი ეტიმოლოგია ასეთია: „წიგნი ნაგები წყარო ცოდნისა (სიბრძნისა)“; ანალოგიურ საფუძველზე, თვლით, რომ „სიტყვა ფიქრი ნიშნავს: „ადუღება-ამაღლების ქნა არის“; „სიტყვა სიკეთე სამი დამოუკიდებელი სიტყვის კომპოზიტია“... და „სრული ფორმით ასე უნდა ჩასახულიყო: „შენში ჭედა (წოთობა) ნათელისა არის“ („ილორი“, 238), და ასე შემდეგ.

სინამდვილეში, სიტყვა წიგნი ერთადერთი ერთიგვანი სახელია წიგნისა და დასადგენია მხოლოდ ის, თუ რატომ დაუტყვევას მას ეს სახელი, და, არა, „რეგული“ ან სხვა რამ; ასევე, სიტყვა ფიქრი ერთადერთი ერთიგვანი სახელია იმ რეალობისა, რასაც იგი აღნიშნავს და, გასარკვევია, რა საფუძველზე დაუტყვევას მას ეს სახელი; სიტყვის თქვენთვის „ორიგინალური“ მეთოდის, სისწორე, ერთადერთობა და უპირატესობა (მიზანი ცუდი როდია, უსაფუძვლო რომ არ ყოფილიყო).

განვიხილოთ, კონკრეტულად, რამდენიმე მაგალითი. თქვენ წერთ: „გ(//გ) ბგერა-სიტყვა (შემდგომში ასე ვუწოდებთ თანხმონეურ ბგერებს, რამეთუ ისინი, ცალ-ცალკე აღებული, არ არსებობენ ირაციონალური) ბგერის თანხმონეური გარემო მე-3 პირის ზნა და ირთავს რა ზნისწინებს, წარმოვიდგება რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებად: 1. გეო-გ (ამო-გო, გეო-გ) (ამო-გო... 16. გ) (გავს).“

ცხადია, თქვენ არ დაკმაყოფილდით იმ თანხმონეური ბგერების თუ ძირისეული თანხმონეური ფორმების (16 ერთ.) ჩამონათვალის წარმოდგენით და კიდევ ერთხელ შეეცადეთ მათი ცალ-ცალკე განხილვით დაგამტკიცებინათ თქვენი შეხედულებებისა და ეტიმოლოგიური კვლევის თქვენთვის „ორიგინალური“ მეთოდის, სისწორე, ერთადერთობა და უპირატესობა (მიზანი ცუდი როდია, უსაფუძვლო რომ არ ყოფილიყო).

განვიხილოთ, კონკრეტულად, რამდენიმე მაგალითი. თქვენ წერთ: „გ(//გ) ბგერა-სიტყვა (შემდგომში ასე ვუწოდებთ თანხმონეურ ბგერებს, რამეთუ ისინი, ცალ-ცალკე აღებული, არ არსებობენ ირაციონალური) ბგერის თანხმონეური გარემო მე-3 პირის ზნა და ირთავს რა ზნისწინებს, წარმოვიდგება რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებად: 1. გეო-გ (ამო-გო, გეო-გ) (ამო-გო... 16. გ) (გავს).“

შეგადაროთ: როგორც ზემოთაც აღნიშნა, ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა მეგრული ენის ლექსიკის წარმომდგენი 6652 ძირისეული თანხმონეური ფორმა და შესწავლილ იქნა მათი წარმომავლობა; ამასთან, პრაქტიკულად, მოხმობილ იქნა აღნიშნულ ფორმებზე დამკვირვებით მიღე-

ბული მეგრული ენის მთელი ლექსიკა, რაც დათვლის 1 მილიარდ 410 მილიონ 145 ათას 386 სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, და, მაშასადამე, შესწავლილ იქნა მთელი ამ კოლოსალური ლექსიკის სიტყვათწარმომავლობა ანუ ეტიმოლოგია.

და, ასეთ პირობებში, არც ერთ ძირისეულ თანხმონეურ ფორმასთან, ანუ, არც ერთი სიტყვის ძირთან არ დაგვიხანია არა თუ 3, 5 და მეტი სიტყვა, არამედ 2 სიტყვაც კი, ცხადია, ასეთთა არარსებობის გამო (თქვენ კი, მათ, ასე უხვად „პოულობთ“ ხოლმე, თანაც თითქმის ყველა სიტყვაში).

ეს იმიტომ, რომ ნებისმიერი სიტყვის ძირისეული ფორმა, როგორც წესი, ერთადერთია, იმდენად, რამდენადაც იგი ერთადერთი საგნის ან სხვა მონაცემის აღმნიშვნელია, ანუ ასეთად არის შემოღებული ენაში (სხვა საკითხია ის ფაქტი, რომ მოცემული ძირისეული თანხმონეური ფორმა,)-ბგერისეული წარმომავლობის სხვადასხვა დერეფანით (მნიშვნელობა(კვლევი) საგრა-მატიკო საშუალებებითურთ წარმოდგენისას, გვაძლევს სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებს).

მაშ, როგორ არ მოდის წინააღმდეგობაში, ბატონო კუპური, თქვენი შეხედულებები და ეტიმოლოგიური კვლევის თქვენთვის „მეთოდი“ ჩვენს ნაშრომებთან? თუმცა, მთავარი ამგვარი წინააღმდეგობის არსებობა როდია. მთავარია ის, რომ თქვენთვის შეხედულება და მეთოდი ეტიმოლოგიური ძიებისა, ძირშივე მცდარი და მიუღებელია. ჩვენ ამის შესახებ, გარკვეული სიფრთხილითა და მოკრძალებით, არაერთხელ გვითქვამს პირადად თქვენთვის, მოკლე, უშუალო თუ სატელეფონო, საუბრისას, მაგრამ იგი თქვენ არ გავიზიარებიათ.

პირიქით, ჩვენს ნაშრომებში აშკარად დაუპირისპირეთ თქვენთვის ხედვა, და, ამ უკანასკნელად გახვთ „ილორის“ რამდენიმე ნომერში განათავსეთ რა სტატია, „სამეცნიერო ბგერების წარმოშობისა და მეგრულ (ბგერულ) ენაში მათთან მნიშვნელობების მიღების შესახებ“, კიდევ ერთხელ შეეცადეთ თქვენი შეხედულებების უტყუარობის მტკიცებას. ამასთან, წარმოაჩინეთ თქვენი ხედვა ჩვენთვის ნაკლოვანების შესახებ: იმთავიდანვე აღნიშნეთ, რომ „მეგრული 30 (სინამდვილეში 29. - მ. დ.) თანხმონეური ბგერიდან, იგივე ძირისეული თანხმონეური ფორმიდან შედგომულს ავტორებს ერთი ნაწილის წარმომავლობის დადგენა გამოიწვევს და 16 მათგანი იქვე ჩამოთვალეთ.

ცხადია, ისეთ ვითარებაში, როცა თქვენ თვლით, და დაბეჯითებით (ვინ იცის, უკვე მერამდენედ და რამდენ პუბლიკაციაში) „არწმუნებთ“ კიდევ მკითხველს, რომ ენის ლექსიკას ქმნიან მასში არსებული და ერთ გარკვეულ რეალობაზე დაპროგრამებული ერთეული თანხმონეური ბგერები, იგივე ძირისეული თანხმონეური ბგერები ანუ „ბგერა-სიტყვები“ (ამაზე, ქვემოთ), თქვენი ზემოაღნიშნული განაცხადი იმის შესახებ, რომ მამანტი და ცირა ძაძამიებს მეგრულ ენაში არსებული 30 ბგერიდან 16 ბგერის განმეობი კონკრეტული ფიზიკური რეალობის ჩვენება გამოიწვევს, ანუ ამათი ეტიმოლოგია არ დაუდგენიათ, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თურმე გამოგვჩვენია მეგრულს ლექსიკის შემქმნელი ამგვარი ფორმების ნახევარზე მეტის (16 ერთეულის), და, მაშასადამე, მეგრული ენის მთელი ლექსიკის ნახევარზე მეტის ეტიმოლოგიის დადგენა; (სომ გამოგვჩვენებელი ბრალდებაა?)

ცხადია, თქვენ არ დაკმაყოფილდით იმ თანხმონეური ბგერების თუ ძირისეული თანხმონეური ფორმების (16 ერთ.) ჩამონათვალის წარმოდგენით და კიდევ ერთხელ შეეცადეთ მათი ცალ-ცალკე განხილვით დაგამტკიცებინათ თქვენი შეხედულებებისა და ეტიმოლოგიური კვლევის თქვენთვის „ორიგინალური“ მეთოდის, სისწორე, ერთადერთობა და უპირატესობა (მიზანი ცუდი როდია, უსაფუძვლო რომ არ ყოფილიყო).

განვიხილოთ, კონკრეტულად, რამდენიმე მაგალითი. თქვენ წერთ: „გ(//გ) ბგერა-სიტყვა (შემდგომში ასე ვუწოდებთ თანხმონეურ ბგერებს, რამეთუ ისინი, ცალ-ცალკე აღებული, არ არსებობენ ირაციონალური) ბგერის თანხმონეური გარემო მე-3 პირის ზნა და ირთავს რა ზნისწინებს, წარმოვიდგება რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებად: 1. გეო-გ (ამო-გო, გეო-გ) (ამო-გო... 16. გ) (გავს).“

ერცული ახსნა-განმარტებების შემდეგ, თქვენ, სათქმელს ასე ამთავრებთ:

„აღსანიშნავია, რომ ბგერა-სიტყვა გ), ირთავს რა მეგრულში არსებულ ყველა ზნისწინს და უამრავ სუფიქსს, გვაძლევს სალექსიკონო მასალის გარკვეულ მარაგს, რაც ჯერ-ჯერობით მ. და ც. ძაძამიებს აღრიცხული არა აქვთ“.

ახლა, ვნახოთ, რამდენად მართებულია ყოველივე ეს.

მოგესალმებით, რომ ტერმინი „ბგერა-სიტყვა“, ჩვენი შემოღებულია და იგი თავის დროზე ვუწოდეთ ცალკეულ ერთთანხმონიან, ცხადია,)-ბგერადართულ, ფორმებს, და არა „ყველა თანხმონეური ბგერას“, როგორც ეს თქვენ გადაგვიწყვეტით და ასედაც რომ აკეთებთ. კერძოდ, ბგერა-სიტყვა ჩვენ ვუწოდებთ შემდეგ ფორმებს (სიტყვებს): გ) (1. გარეული ქათამი; 2. გავს), კ) (რკო), ლ) (ვარდება), ტ) (ცური, ჯიქანი), შ) (სეველი; 2. ახსოვს), ნ) (აჭამა), ც) (თელა); 2. სცა [პატივი], ძ) (მეგს), წ) (წელს), ჭ) (ნაწლავი); ეს იმიტომ, რომ მეგრულში მხოლოდ აღნიშნული ბგერები (ფონემები ანუ ფონეტიკური ერთეულები) არიან იდეამტარებელი, იგივე, დეტერმინირებული გარკვეული იდეით, ანუ მოტივირებული; მათ გააჩნიათ გარკვეული კონკრეტული მნიშვნელობა, და მაშასადამე, დანიშნულება. ისინი აღნიშნავენ გარკვეულ საგანს ან სხვა მონაცემს, ანუ, წარმოადგენენ სიტყვებს. დანარჩენი თანხმონეური ბგერები კი, ბგერის თანხმონეური გარემოში და თანხმონეური პირობებშიც, რაიმე მნიშვნელობის მატარებლები ანუ იდეამატარებლები არ არიან, და, არც არავფერს აღნიშნავენ. ისინი საგნის ან სხვა რამ მონაცემის სახელმძღვანელო ფუნქციას არ მტარებლობენ. საუბრადღებოა ისიც, რომ ჩვენ ყველგან ასე გვაქვს აღნიშნული: „თანხმონეური ბგერები ვერც კი წარმოითქმებიან გეო-ბგერები) ბგერის არ თუნდაც მისი გარკვეული ნაცვეთის თანხმონეური გარემოში“.

თქვენ კი, ბატონო კუპური,) ბგერა უცებ მთავრად ყველა თანხმონეური ბგერას, და უკლებლივ ყველას „ბგერა-სიტყვაც“ უწოდებთ, რაც აბსოლუტურად არამართებულია.

გ ძირისეულ თანხმონეურ ფორმასთან თქვენ ხედავთ 16 სხვადასხვა მნიშვნელობას და მოგაქვთ სათანადო მაგალითებიც, მაგრამ მათგან, მაგალითად, ფორმები: გეო-გ) ამო-გო, გეო-გ) ამო-გო, გეო-გ) ამო-გო, ერთი და იგივე მნიშვნელობის მქონე გ-ძირიანი ფორმებია, ვინაიდან ამათი სახელზმნაა ერთი და იგივე გაფა (გება), ხოლო აღნიშნული ფორმები სხვადასხვა მნიშვნელობის არიან იმის გამო, რომ ისინი სხვადასხვა ქვესინიშნიანი ფორმებია და არა სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე გ-ძირიანი ფორმები. ამიტომაც, ჩვენ, შეიძღომულში სწორედაც სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი გ-ძირიანი 12 ფორმა და მათი ლექსიკები გვაქვს წარმოდგენილი.

თქვენ აღნიშნავთ, რომ „ბგერა-სიტყვა გ) ირთავს რა მეგრულში არსებულ ყველა ზნისწინს და უამრავ სუფიქსს, გვაძლევს სალექსიკონო მასალის გარკვეულ მარაგს, რაც მ. და ც. ძაძამიებს ჯერ-ჯერობით აღრიცხული არა აქვთ“.

სინამდვილეში კი ასეთი ვითარება: შეიძღომულში წარმოდგენილი 12 სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე გ-ძირიანი ფორმებიდან არც ერთი მათგანი არ ირთავს მასშივე 40-ზე მეტ ზნისწინს, მაქსიმუმ 3-ზე მეტ პირველდსაწიხისეულ სუფიქსს და 34-ზე მეტ მეორეულს (მესამეული და ა. შ.) წარმოების სუფიქსს. ეს მაშინ, როდესაც მეგრულში სულ გვაქვს 94 ზნისწინი, 76 პირველდისაწიხისეული სუფიქსი და 336 მეორეული (მესამეული და ასე შემდეგ) წარმოების სუფიქსი.

ასეთ პირობებში, შეიძღომულშივე, ჩვენს მიერ წარმოდგენილია გ-ძირზე დამკვირვებული 301 უზნისწინო-უპირეფიქსებო, ანუ მხოლოდ სუფიქსიანი ფორმები, - ზნურ ფუძეთა ლექსიკონის სახით, და, მასში მოცემულია (იკითხება) 3689 სიტყვა. ოცტომეულში კი სულ მოხმობილი გვაქვს ანუ იკითხება იმავე გ თანხმონეურ ძირზე დამკვირვებული 50539 სიტყვა.

აი, ასეთ პირობებში, თქვენ წერთ, რომ მ. და ც. ძაძამიებს ლექსიკის ეს მარაგი ჯერ-ჯერობით აღრიცხული არა აქვთ. (?)

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ნატოს შტაბ-ბინაში, ბრიუსელში საღვადლო დალის სურათის ასლი კიდია, რომელზეც გამოსახულია: „გეოპოლიტიკური ბავშვი უყურებს ახალ ადამიანის დაბადებას.“ ნახატი შესრულებულია საღვადლო დალის მიერ 1943 წელს, ტილოზე, ზეთით. სურათის ორიგინალი ინახება სანკტ-პეტერბურგში. ეს სურათი სიმბოლურია, ამ სურათს მნიშვნელობა აქვს ნატო-ს ხელმძღვანელობისთვის (და არა მარტო ნატო-ს ხელისუფლებისთვის), წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქ არ იქნებოდა განთავსებული. სურათზე არის გამოსახული კევრცხი, რომელიდანც იშვება „ახალი ადამიანი“, თავად კევრცხზე გამოსახულია დედამიწის რელიეფი.

გეოპოლიტიკა ერთმხრივ არის მეტაფიზიკა, მეორე მხრივ მეცნიერება საერთაშორისო ურთიერთობებზე. ამ სურათის მიხედვით ჩანს, რომ იბადება ახალი ადამიანი, დაბადება – ეს რეალობის შეცვლა, სიხლის დასაწყისია. იგი ანგრევს სივრცეს, ანგრევს არსებულს. ეს ადამიანი არის დასავლეთის სამყარო. ამ ახალ გამოჩენილ ადამიანს გამოყოფილი აქვს მარცხენა ხელი და უდევს ბრიტანეთზე, ფეხი მიბჯენილი აქვს ინდოეთზე.

გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, ეს არის ზუსტი საყრდენები ჩრდილოეთ ამერიკისა, რომლის საოკეანო ძალმოსილება წარმოსდგება ბრიტანეთის იმპერიიდან, იგი მისი უშუალო მემკვიდრეა.

ნახატზე გამოსახული ქალ-ბიჭა პერმოფორიტიის მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მიუთითებს კავკასიაზე – საქართველოზე. მუშტს თვითონ გაცინებული, დაღრუჯილი ეშმაკის სახე აქვს. მუშტი წარმოადგენს ღიმილში გამრუდებულ მხეცის სახეს, რომელსაც მარცხენა ხელზე დიდი ბეჭედი უკეთია. (ხელდასმულობის ნიშანი).

პერმოფორიტი წითურთმანია (рижая). მისი გაშვებული მარჯვენა ხელის ჩრდილი არ ჩანს, მარტო ჩანს ტანის ჩრდილი, (უხილავე ხელი). სწორედ ამ უხილავ ხელზე გავფრთხილებდა ჯონ კენედი: „ქალბატონებო და ბატონებო! თვით საიდუმლოების მცნება ეწინააღმდეგება თავისუფალ და ღია საზოგადოებას. ჩვენ ჩვენი ბუნებით წარმოვადგენთ ისტორიულ ხალხს, რომელიც წინ აღუდგა საიდუმლო საზოგადოებებს, საიდუმლო ორდენებს და დახურულ შეკრებებს. მიუღ მსოფლიოში ჩვენ წინააღმდეგ განადგობული მონოლითური, უმოწყალო შეთქმულება, რომელიც ფარული ხერხებით აფართოვებს თავის გავლენის სფეროს, მოჟონავს შემოჭრის ნაცვლად, ამისთვის ხელისუფლებებს არჩევნების სანაცვლოდ და თესავს შიშს თავისუფლების ნაცვლად. ამ სისტემამ გაუკეთა მობილიზება ადამიანთა დიდ მატერიალურ რესურსებს და ააშენა მძლავრი, მაღალკვალიფიციური მანქანა, რომელიც ახორციელებს სამხედრო, და პოლიტიკურ, საღაზვერო, ეკონომიკურ, სამეცნიერო და პოლიტიკურ ოპერაციებს. მათი მომზადება გასაიდუმლოებულია, მათ შეცდომებს მაღავენ და არ ამჟღავნებენ. იგი მდუმარებით გვიახლოვდება, არ უწევს ანგარიშს ხარჯებს და ხმებს, არ ახმაურებს საიდუმლოებებს. ამისთვის ძველ ათენში იყო კანონი, რომელიც კრძალავდა საჯარო პოლემიკისათვის თავის არიდებას. მე ვითხოვ თქვენგან დახმარებას იმფორმირების და ამერიკის ხალხის გაფრთხილების მნიშვნელოვან საქმეში, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დახმარებით ადამიანები ისეთები გახდებიან, როგორებიც დაიბადნენ: თავისუფალნი და დამოუკიდებელნი“. ამ მამხილებელი მიმართვის შემდეგ, 1963 წლის 22 ნოემბერს, სწორედ საიდუმლო ორგანიზაციების დაკვეთით ლი პარი ოსვალდმა დალასში მოკლა ამერიკის 35-ე პრეზიდენტი ჯონ ფიტცჯერალდ კენედი.

აღსანიშნავია ფაქტი, რომ 1916 წლის 29 დეკემბერს რუსეთში მოკლული გრიგოლი რასაპუტინის მკვლელები ინგლისელი რეინ ოსვალდი გახლდათ რომელიც დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურის ოფიცერი იყო. მათი მკვლელობის მოტივის განხილვა ცალკე თემაა. ჩვენ აგრეთვე გვინდა გაავფრთხილოთ ანტიქრისტეს მოსვლის შესახებ, ახალი ადამიანის სახით, რომელსაც მოიყვანენ ის ძალები, რომლებზედაც მოგვახსენებს კენედი, ჩვენი მოსაზრებით სურათზე გამოსახული პერმოფორიტი და ეგრეთწოდებული „ბავშვი“ ეს სწორედ ის ძალებია. პერმოფორიტი ფეხებთან არის მოკალათებული გეოპოლიტიკური „ბავშვი“. მას აქვს სემიტური (ხრდასრული, დაკუნთული) მამაკაცის აღნაგობა. მისი ჩრდილი არ შეესაბამება მის ფორმას. მარჯვენა ფეხის უკანა მხარეს ჩახატულია წვეროსანი ადამიანის სახე, რომელიც იესო ქრისტეს მოგვაგონებს.

წინაპერმოფორიტი და „ბავშვის“ მხარე, დასავლეთად უნდა ვივარაუდოთ, მისი მოპირდაპირე მხარე-აღმოსავლეთად. აღმოსავლეთით ორი პიროვნება საუბრობს, ერთს ახურავს მოგვების ქუდი. ეს, სავარაუდოდ არის ახალი ტექნოკრატული და ფულის თავყანისცემის ეპოქის ქურუმი. სამხრეთით კარგად ჩანს სვეტი, რომელიც მზეს განასახიერებს. სვეტს აქვს მსგავსება კავკასიურ კოშკთან, ღვთის სახლთან, მზისა და ნათლის სახლთან.

კევრცხის თავზე გამოსახულია ნაჭერი, რომელსაც 13 ნაწიბური აქვს. 13 ნაწიბური ციანსახიერებს მაცხოვარსა და მის 12 მოციქულს (პაროდულად), თავდაპირველად ნატოში გაერთიანდა 13 სახელმწიფო, ასევე ევროკავშირიც შექმნა ევროპის ცამეტმა სახელმწიფომ, ამერიკაც შეიქმნა 13 შტატისგან აქედან ნათლად ჩანს, რომ კევრცხიდან ახალი ადამიანის დაბადებას იცავს ნატოს და ამერიკის გაერთიანებული ძალები, აქვე უნდა ითქვას: ა.შ.შ-ის დღევანდელი დროშის წინაპარი იყო ბრიტანეთის, ვესტ-ინდოეთის კომპანიის დროშა. ის წააგავდა ბრიტანულ დროშას და შედგებოდა 13 პრიზინტალური წითელი და თეთრი ხაზებისაგან (ერთმანეთის შენაცვლებით). ეს ხაზები წარმოადგენდნენ პირველი შტატის გაერთიანების სიმბოლიზებას. 1776 წელს საკონტინენტალ კონგრესზე მიღებული იქნა ა.შ.შ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ახალ სახელმწიფოში შევიდა 13 ტერიტორია, ყოფილი დიდი ბრიტანეთის კოლონიები: ვირჯინია, დელაუარი, ჯორჯია, მასაჩუსეტსი, მერილენდი, ნიუ-ჰემპშირი, ნიუ-იორკი, ნიუ-ჯერსი, პენსილვანია, როდ-აილენდი, კონეკტიკუტი, სამხრეთ კაროლინა და ჩრდილოეთ კაროლინა. ერთი წლის შემდეგ მეორე საკონტინენტალ კონგრესი იღებს შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშას, რომელიც შედგებოდა 13 წითელი და თეთრი ხაზებისაგან და 13 თეთრი ვარკვლავისაგან ლურჯ ფონზე. დროშის ამ ვერსიაში 13 ვარკვლავი ლურჯ ფონზე ქმნიდნენ წრეს. ეს დროშა ცნობილია როგორც „ძველი დიდება“. ის პირველია შეასრულა ფელადელფისის მკერავმა ქალბატონმა ბეტსი როსიმ. ეს დროშა შევიდა ისტორიაში, აგრეთვე როგორც „ბეტსი როსის დროშა“.

ევროპის კავშირი ოფიციალურად დაარსდა 1992 წელს მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ევროპის გაერთიანების 13 სახელმწიფოს – ბელგიის, დანიის, გერმანიის, ესპანეთის, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, პორტუგალიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და ჩრდ. ირლანდიის წარმომადგენლებმა ქალაქ მასტრიხტში (ნიდერლანდი). ხელშეკრულება წარმოადგენს ახალ მნიშვნელოვან ეტაპს ევროპის ქვეყნების ინტეგრაციაში და ითვალისწინებს: ევროპის სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხთა საერთო მოქალაქეობის, ანუ ევროკავშირის მოქალაქეობის შემოღებას, ასევე მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე; ევროპის ქვეყნების მიერ საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის, საერთო თავდაცვის პოლიტიკის განხორციელებას. (ეს მოდელი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ანალოგიას) უნდა ითქვას, რომ ევროპის გაერთიანებული შტატების შექმნის იდეა იყო ჯერ კიდევ ამერიკის აღმოჩენამდე, ანუ მრავალი საუკუნის წინ, ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ჩაატარეს ექსპერიმენტი და შექმნეს ამერიკის შეერ-

თებული შტატები. ევროპის ტერიტორიაზე ევროკავშირის მამულების საღარი ერთიანი „სახელმწიფო გაერთიანებები“ – იმპერიები იყო: დასავლეთ რომის იმპერია, ფრანკების სახელმწიფო, საღეთ რომის იმპერია. გასული ათასწლეულის განმავლობაში ევროპა დანაწევრებული იყო, მაგრამ იდეა მისი გაერთიანების ახალი იმპერიის შექმნის შესახებ მუდამ არსებობდა. ამერიკის რევოლუციის შემდეგ კი განხდა საშუალება ევროპის შეერთებული შტატების შექმნისა. ანუ (ყოველივე ახალი კარგად დაიწყო ბული ძველი.) ამ იდეამ მიიღო ახალი ხორც/შესხმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც უინსტონ ჩერჩილმა 1946 წლის 19 სექტემბერს ციურისის უნივერსიტეტში განაცხადა „ევროპის გაერთიანებული შტატების“ შექმნის აუცილებლობაზე ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად. 1949 წელს შეიქმნა „ევროპული თანამეგობრობა“ – გაერთიანება. ევროპული გაერთიანების განხორციელების და გარდაქმნის პროცესი თანამედროვე ევროკავშირში ხდებოდა იმავდროულად სტრუქტურული ევოლუციისა და ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციის გზით მეტად შერწყმულ სახელმწიფოთა ბლოკში, სადაც მართვის ფუნქციების სულ უფრო მეტი რიცხვი გადაეცემა ზეერონულ დონეს (ევროპულადებული ევროინტეგრაციის პროცესი ან სახელმწიფოთა კავშირის ჩადრმაგება). „მასტრიხტის მსხვერუბები, რომლებიც ეროვნულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის განადგურებას და „ერთიანი ევროპის“ შექმნას ისახავს მიზნად“ – ზ. გამსახურდია 1993წ. ევროპარლამენტის რეზოლუცია ბრუსელში ჰგავს ბაბილონის კედელს. ევროკავშირის დროშა ჰგავს პირვანდელ ამერიკის დროშას. ევროკავშირის დროშის განმარტება „ვიკიპედიაში“: „ევროპის კავშირის დროშა წარმოადგენს ლურჯ ფონზე წითულად განლაგებული 12 ოქროსფერი ვარსკვლავის ერთობლიობას ვარსკვლავების რაოდენობას არავითარი კავშირი არა აქვს გაერთიანების წვერთა რიცხვთან. წითულად განლაგებული ვარსკვლავები სრულყოფილებას და სისრულეს აღნიშნავს, ხოლო რიცხვი 12 ტრადიციულია ევროპული კულტურისა და ცივილიზაციისათვის, კერძოდ: 12 – ზოდიას ნიშანი; 12 – დღის საათი; 12 – წლის თვე; 12 – მოციქული; 12 – ოლიმპიური ღმერთი; 12 – დაფის კანონი (Leges Duodecem Tabularum) დროშა შექმნა ევროპის საბჭომ 1955 წლის 8 დეკემბერს“

წმინდა მამა ნილოს მირონდინარე მოასწავებდა, რომ 1992 წელს დაიწყო ბოლო (უკანასკნელი) ფაზა არა მხოლოდ კაცობრიობის არსებობის, არამედ მთელი სამყაროს და რომ 13 ევროპული სახელმწიფო შექმნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკს. ევროკავშირის უკან იმალება დიქტატორული რეჟიმი, ასეთი სახეობა დიქტატორის გამოკონება შეუძლო მხოლოდ მხეცს, დემონს, ეშმაკს... რატომ მაინც და მაინც 13? იმიტომ რომ წინასწარმეტყველებაში ნათქვამია, რომ ანტიქრისტე, მხეცი გარეგნულად პაროდირებას გაუკეთებს ქრისტეს, შინაგანად კი დაამახინჯებს. ყველას ეგონება, რომ ეს ანტიქრისტე მოკრძალებულია და თვინიერი გული აქვს, სინამდვილეში კი ის გულით – მელაა, სულით – მგელი. (მელა ინგლისურად – X, რიგითი ნომერი 666=X). ქრისტეს მოსვლას წინაშედოდა იონან ნათლისმცემლის (წინამორბედის) მოწოდება სინანულისაკენ, ხოლო ანტიქრისტეს წინამორბედი ევრცხისმოყვარეობა. ქრისტეს თანმხლებნი და მქადაგებელნი იყვნენ 12 მოციქულინი, ხოლო ანტიქრისტეს თანმხლებნი კი ევროკავშირია, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო სახლის და ახალი მსოფლიო წესრიგის პირველ აკურს. („ვიკიპედიაში“ განმარტებით ევროკავშირის დროშაზე გამოსახული 12 ვარსკვლავი 12 მოციქულის სიმბოლოა). ადამიანები, რომლებიც ისედაც იქნენ მხეცის (ეშმაკის) ჭურჭლად, უსახდრო ნდობას აღუთქავენ ანტიქრისტეს, აირყვევენ მას მსოფლიოს ერთპიროვნულ მართველად და თვითმპრობელად, რამეთუ იგი იქნება მხეცის – ეშმაკის იარაღი ქრისტეანობის საბოლოოდ მოსაპობის მცდელობაში დედამიწიდან. დაღუპვის გზაზე მყოფ ადამიანებს ევონებათ, რომ ის არის მხსნელი ქრისტე და რომ იგი გადაარჩენს მათ. და აი სწორედ მაშინ, ნაწინასწარმეტყველები უბედურების ეამს ანტიქრისტე დაიწვეს ხალხის დაბეჭდვას თავისი ბეჭდით 666-ით, ვითომდა იმისთვის რომ ამ ნიშნით

იგი გადაარჩენს მათ განსაცდელისაგან ვინაიდან ვისაც ბეჭედი ექნება (აპოკალიფსის მიხედვით 13,17) მხოლოდ მას მიყვიაან პურს. ის ვინც მიიღებს ანტიქრისტეს ბეჭედს ვერ იცოცხლებს, იგი სულიერად მკვდარია და მას ელოდება საშუალო ტანჯვა! ნუთუ თქვენ აგრეთვე გსურთ დაიღუპოთ თავი ბეჭდით, იმითთან ერთად, რომლებმაც მიიღეს იგი, რადგან ექნება ტირილი და კბილთა ღრჭუნა (მათე 25,30) მაშინ სახარება იქნება უკლებელყოფილი. ანტიქრისტე გვირგვინს დაიღვამს შესამედ აღდგენილ სოლომონის ტაძარში, იერუსალიმში.

უნდა აღინიშნოს რომ ევრეთოდებული ახალი ადამიანი არის ანტიქრისტე, რაზეც მეტყველებს შემდეგი: მოღუწული მარცხენა ხელი წარმოადგენს გონიოს, გონიოს ჩრდილი ქმნის ექვსიანი (6) და არა კუთხეს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგი“-ს მშენებლებს სურთ გამოიყენონ გონიო ანტიქრისტეს სახლის მშენებლობისთვის და არა ღვთის სახლის ასაშენებლად. ადამის მტრების მიზანი-ეს არის ტეშმარტების პროფანაცია დროში და სივრცეში, ანუ ახალი სტილი, ახალი მსოფლიო წესრიგი, ახალი აზროვნება, ახალი ე.წ. ეროვნული მოძრაობა და სხვა, ანუ ყველაფერი რასაც აქვს ზოგადად „ახალი“ მწვანელობის სახელი. ეს ყველაფერი იმის შემდეგ რაც ქრისტე, მაცხოვარი მოვიდა და ვიკიბოდა ჩვენს გადასარჩენად ახალი ადამიანი, სადაც მაცხოვარი ითანეს აპოკალიპსში წინასწარ გვამცნობს ტეშმარტ ახალ მსოფლიოზე, ახალ იერუსალიმზე (ახალ ღვთის ქალაქზე).

ითანეს გამოცხადება თავი ოცდამეერთე: „მერე ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგანაც პირველი ცა და პირველი მიწა გადაეგო, და ზღვა აღარ არის. ვიხილე წმიდა ქალაქი, ახალი იერუსალიმი, ღვთისაგან ჩამოშვებული ზეციით, სასძლოსავით გამოშვებული და სასიხოსთვის შემკული. და მომესმა მგრგვინავი ხმა ტახტით, რომელმაც თქვა: აჰა, კარავი ღვთისა კაცთა შორის, რომელიც დაემკვიდრება მათში, და თვით ღმერთი იქნება მათთან. შეაშრობს ღმერთი მათ თვალზე ცრემლს, და აღარ იქნება სიკვდილი: აღარც გლოვა, აღარც ტირილი და ტანჯვა იქნება, რადგანაც გადაეგო ყოველივე უწინდელი. ხოლო ტახტზე მჯდომარემ თქვა: აჰა, ყველაფერს შექმნი ახალს. მე კი მითხრა: დაწერე, რადგან ეს სიტყვები სარწმუნოა და ჭეშმარიტი. კვლავ მითხრა მე: აღსრულდა. მე ვარ ანი და პავ, დასაბამი და დასასრული. და უსახვიდლოდ ვასმევე მწყურვალს სიცოცხლის წყლის წყაროს. მძღველი დაიმკვიდრებს ამას, და მე ვიქნები მისი ღმერთი, ხოლო ის იქნება ჩემი ძემხდალთა და ურწმუნოთა, ბილწთა და მკვლელობა, მებაგთა და ცრმეულთა, კერპთაყვანისმცემელთა და გრუთა ხეველი ი ტბაშია, ცეცხლითა და გოგირდით მოგიზიგებში. და ეს არის მეორე სიკვდილი. მაშინ მოვიდა ერთი იმ შვიდ ანგელოზთაგან, რომელთაც ჰქონდათ უკანასკნელი წყურვლებით სავსე შეიდი თასი, და მითხრა: მოდი და გიწვევებ ქალს, სასძლოს კრავისას. ამიყვანა სულით დიდსა და მაღალ მთაზე, და მიჩვენა დიდი ქალაქი, წმიდა იერუსალიმი, ღვთისაგან რომ ჩამოდიოდა ზეციით, და ჰქონდა დიდება ღვთისა, ხოლო მისი მნათობი პატროსან თვალსა ჰგავდა, ბროლივით გამჭვივრად იასპის ქვას, ვრცელი და მაღალი გალავნით შემოხლულულს თორმეტი ბეჭედი, ბეჭედი – თორმეტი ანგელოზი, და ზედ ეწერა ისრაელის თორმეტი ტომის სახელი. აღმოსავლეთით სამი ბეჭედი, ჩრდილოეთით სამი, სამხრეთით სამი, დასავლეთით სამი. ქალაქის გალავანს თორმეტი საძირკველი ჰქონდა, და მათზე კრავის თორმეტი მოციქულის თორმეტი სახელი. ჩემთან მოუბარს საზომად ოქროს ლერწამი ჰქონდა, რათა გაეზომა ქალაქი, მისი ბუკნი და გალავანი. ხოლო ქალაქი ოთხკუთხედად ძვეს, და მისი სიგრძე იგივეა, რაც სივანე. გადაზომა ქალაქი ლერწმით თორმეტი ათას უტყევანზე, და მისი სიგრძე, სივანე და სიმაღლე ერთმანეთის ტოლნი აღმოჩნდნენ“.

ბესო (ბესარიონ) მიტავა, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე (დასასრული შემდეგ ნომერში)

საერთო კუთხე მიჰყავს შურნალის ბიორბი ჯალალანია

“ზესტაფონი” იპირება – ფეხბურთელები წავიდნენ, ილია კოკიაც მიდის...



2014 წლის მიწურულს საქართველოს ორგანიზაციის წევრები და თავის მფლობელი, საფეხბურთო კლუბი “ზესტაფონი” ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა.

ამას წინათ, მარგველთა ბანაკს რამდენიმე კონტრაქტამოწერილი მოთამაშე გაუცვალა, ახლა კი, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გუნდს დანარჩენი ფეხბურთელებიც ტოვებენ. ანუ “ზესტაფონი” თითქმის მთლიანად იცლება...

მოთამაშეთა დიდი ნაწილი უკვე შეუთანხმდა კლუბს კონტრაქტის დროზე ადრე გაწყვეტაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იმერული გუნდის წევრები ავტომატურად გახდებიან თავისუფალი აგენტები და ნებისმიერ ქართულ თუ უცხოურ გუნდში შეეძლება გადასვლა.

რეალურად რა ხდება “ზესტაფონში”? კლუბის მფლობელი ილია კოკია ამ დროისათვის საქართველოში არ იმყოფება. კლუბმა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება პრესსამსახურის ხელმძღვანელ სერგო ფუტყარაძეს მიანდო:

– “ზესტაფონის” ფეხბურთელთა დიდ ნაწილთან, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, კონტრაქტი გაწყდა. როგორც იცით, მწვერთვებზე დაუსრულდათ კლუბთან ხელშეკრულების ვადა.

– ილია კოკია აღარ დააფინანსებს “ზესტაფონს”?

– კლუბის დაფინანსებელმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმ მარაზმის პირობებში, რასაც სადღეისოდ წარმოადგენს საქართველოს ჩემპიონატი, ფეხბურთში ფულის დაბანდება აღარ ღირს.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება 16-გუნდიანი პირველობის ჩატარების თაობაზე, ჩვენი ჩემპიონატის დონე კატასტროფულად დაეცა. ის აღარ ჰგავს პროფესიონალი ფეხბურთელების შეჯიბრებას.

არაერთხელ დაირღვა დებულება – თუნდაც, ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობის გაზრდისას. უმაღლეს ლიგაში დაუშვეს ეროვნული ლიგის ხის არქონე კლუბები. ეროვნული პირველობა აღარ წარმოადგენს ტურნირს, რომელშიც შესაძლებელია ფეხბურთელის პროფესიული ზრდის პირობების შექმნა და არც ის შეიძლება, რომ ამ ჩემპიონატიდან ევროთასებზე გასულმა გუნდმა წარმატებით ითამაშოს.

– კიდევ რამ განაპირობა მისი ასეთი გადაწყვეტილება?

– იმედგაცრუებამ მთელი რიგი ფაქტორების გამო. დავიწყოთ თავიდან: დღემდე

არ ჩანს სახელმწიფოს მიერ დაპირებული ფეხბურთის განვითარების პროგრამა. ამის საპირისპიროდ, მივიღეთ გაუთავებელი კინკლაობა სახელმწიფო სტრუქტურებსა და ფედერაციას შორის. კერძო ინვესტორი ბიუჯეტში იხდის თანხას, რომელიც მერე მისი კონკურენტი კლუბის გაძლიერებას ხმარდება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – ამ ფულით ხდება მისი კონკურენტი კლუბის მიერ ამავე კლუბიდან ფეხბურთელის გადაბირება.

სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ღონისძიებების გატარება აქამდეც იყო საჭირო. ამ პროექტის განხორციელების დაგვიანებამ გამოიწვია ფეხბურთიდან ინვესტორების წასვლის ან დაფინანსების მკვეთრად შემცირების პროცესი. ქმედითი ღონისძიებები უნდა გატარდეს მანამ, სანამ უკანასკნელი კერძო ინვესტორი იმედგაცრუებული დატოვებს ქართულ ფეხბურთს.

მოგესხვნებათ, “ზესტაფონს” შეთანხმება ჰქონდა ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებთან. შარშან მიიღეს გადაწყვეტილება 300 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე. ეს თანხა უნდა მოხმარებოდა საკლუბო ინფრასტრუქტურის – სტადიონისა და

ბაზის შენახვას. სამწუხაროდ, წელს მხოლოდ 100 ათასი ლარის დახმარება გამოიყო.

ახლა კი, ვიმედოვნებთ, პროცესი დაჩქარდება და “ზესტაფონში” ფეხბურთი არ მოკვდება. საფეხბურთო კლუბი “ზესტაფონი” არ გაუქმებულა, თუმცა... ამ ეტაპზე ასეთი სიტუაციაა.

– საინტერესოა, ითამაშებს თუ არა “ზესტაფონი” საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპზე?

– ამ დროისთვის, მოვლენათა განვითარების არც ერთი სცენარი არ არის გამოორციხული. ალბათ, ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რა თანხას გაიღებს მუნიციპალიტეტი ფეხბურთის განვითარებისთვის.

300 ათასი ლარი, რომელიც საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას უნდა მოხმარდეს, უკვე ასახულია ქალაქის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში. თუმცა, მეორე საკითხია, რამდენად იქნება ის საკმარისი. ეს მხოლოდ ინფრასტრუქტურული ხარჯებია. კლუბის დაფინანსების საკითხი კი გაურკვეველია.

...“ზესტაფონი” 10 წლის წინათ, 2004 წელს დაარსდა. ამ დროის განმავლობაში გუნდი ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, მთავო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ასევე ორჯერ დაუფლდა ქვეყნის თასს. მთავო საქართველოს სუპერთასი.

მოკლედ, ახლა ჯერი “ზესტაფონის” მუნიციპალიტეტზეა. მან ქალაქში ფეხბურთის სიკვდილი და საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განახლება არ უნდა დაუშვას.

ცოტა ხნის წინათ, “ტორპედო” კერძო ინვესტორმა დატოვა და მას მშველელად მერია მოველინა. ამას გარდა, სოლიდური თანხით დაეხმარა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ქობულეთის “შუქურასაც”; ასევე, ველოფერს აკეთებს “სიონის” კეთილდღეობისთვის ბოლნისის გამგეობა. ეს “ზესტაფონისათვის” კარგი მაგალითი უნდა იყოს.

და ერთიც: უკვე წლებია, ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც ოდითგანვე იყო ამ ქალაქში ფეხბურთის განვითარების გარანტი, არცერთ თეთრს აღარ ახმარს სპორტის ნომერი პირველი სახეობის განვითარებას.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგე “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიკოს წიგნი “კამპანია”, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რელიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

გამოვიდა შურნალ “აია”-ს მომდევნო ნომერი (№18), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი გიორგი სიჭინავა. შურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა – I. ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყეში, აბაშაში და მარტვილში შურნალის შექმნა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” წარმომადგენლობაში. შურნალის ფასია 4 ლარი.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მიერ გამოცემული წიგნების რეკლამა. მოიცავს წიგნების სახელებს, ავტორებს და მუდრებს.